ხელშეკრულებაN 3

ქ.თბილისი 04 იანვარი 2016 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ** - ქ. ალმასიანის N 16 **საჯარო სკოლა** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ანანა ფიქტ-ფეიერფილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს - „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თათია ზარიქუას სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე *საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა* (CPV: 75121000) და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2400 (ოთხასოთხმოცი) ლარს.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება თვეში შეადგენს 200 (ორასი) ლარს.
3. მომსახურების გაწევა დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4. შემსყიდველი მიმწოდებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულების უხლის ეშალდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

მუხლი 3. მომსახურების მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2016 წლის 04 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შემსყიდველი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1. უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა;

2.2. უზრუნველყოს ზოგადი განათლების კუთხით, განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელებაში სკოლისათვის დახმარების აღმოჩენა;

2.3. უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების (სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს მოსწავლეთა თვითმმართველობის,დისციპლინური კომიტეტისა და საგნობრივი კათედრების) გამართული და ეფექტური საქმიანობის ხელშეწყობა;

2.4. საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შემსყიდველთან ვიზიტები;

2.5. უზრუნველყოს კონსულტაციების გაწევა სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან, ყოფაქცევისორგანიზებასთან დაკავშირებით;

2.6. უზრუნველყოს განათლების სფეროში მოქმედი სიახლეებისა და ნოვაციების გაცნობა;

2.7. მისცეს რეკომენდაციები სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო-სასწავლო გეგმისა და სხვა სასკოლო დოკუმენტაციის შეფუშავების, დამტკიცებისა და შესრულების პროცედურების შესახებ;

2.8. კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციული მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.2. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან საკომუნიკაციო მომსახურეობის გაწევა, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

3. თუ მხარემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ითვლება ინახება მხარეებთან.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სკოლა - ქ. ხელვაჩაურის N16 საჯარო სკოლა ს/ნ 216317607 ტელ: 0341241564 დირექტორი (ხელმოწერა)	შპს - „საგანმანათლებლო საკომუნიკაციო ჯგუფი" ს/ნ 405028651 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ნ GE81TB7766136080100004 დირექტორი თათია ზარქუა (ხელმოწერა)